



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

30 მაისი, 2014 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნათია ბუსუკაძე

მოსარჩელები (შუამდგომლობის ავტორები): კახა კოჭორიძე, დალი მამულაშვილი

მოპასუხეები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო,
საქართველოს მთავრობა

მესამე პირი: შპს „RMG Gold“

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა

შუამდგომლობა: სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში
შესვლამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13
მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
მოქმედების შეჩერება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა კახა კოჭორიძისა და დალი
მამულაშვილის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2014 წლის 15 მაისს კახა კოჭორიძემ და დალი მამულაშვილმა სარჩელით მომართეს
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების -
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს
მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს: ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს
ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13
მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ასევე
ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის

5 მაისის №14990 გადაწყვეტილება კახა კოჭორიძისა და დალი მამულაშვილის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

მოსარჩელებმა ასევე იშუამდგომლეს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა №313 განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „RMG GOLD“-ის (შემდეგში - შპს) ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) 2014 წლის 13 იანვრის №01/08-107 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - მიწის მსხვილმაშტაბიანი სამუშაოების განსახორციელებლად დადებითი დასკვნის გაცემაზე უარის თქმის შესახებ და სამინისტროს დაევალა, შეესწავლა შპს „RMG GOLD“-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და ადმინისტრაციული განხილვის შედეგად, ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიეღო. საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სამინისტრომ 2014 წლის 25 თებერვალს წერილობით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) და შპს „RMG GOLD“-ის სალიცენზიო ფართობში მოქცეული საყდრისის ტერიტორიაზე განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებისა და საყდრისი-ყაჩაღიანის საარქივო ბიბლიოგრაფიული მასალის განხილვა და ამ მასალებზე დაყრდნობით შესაბამისი კომპეტენტური დასკვნის მომზადება სთხოვა. სააგენტოს მიერ 2014 წლის 6 მარტს, სამინისტროში წარდგენილი დასკვნის თანახმად, სააგენტომ მიიჩნია, რომ საკითხთან დაკავშირებით არსებული მასალების კომპლექსური შეფასების შედეგად, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მაღაროს ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა არ იყო დადასტურებული, რის გამოც მიზანშეწონილი იყო შპს „RMG GOLD“-ს სამუშაოების გაგრძელების მიზნით, სამინისტროს მხრიდან, მისცემოდა დადებითი დასკვნა. სააგენტოს 2014 წლის 6 მარტის №05/09/221 კორესპონდენციის საფუძველზე, სამინისტრომ შპს-ს 2014 წლის 13 მარტს გაუგზავნა შესაბამისი შეტყობინება, რომლის თანახმადაც ცნობილი გახდა, რომ მან სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნა მიიღო. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (კორესპონდენცია) გაასაჩივრეს საქართველოს მთავრობაში, თუმცა მთავრობამ უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე იმ მოტივით, რომ საჩივრის ავტორები არ წარმოადგენდნენ საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირებს. მოსარჩელებმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიჩნიეს უკანონოდ და დაუსაბუთებლად, შესაბამისად მოითხოვეს აღნიშნული აქტების ბათილად ცნობა.

მოსარჩელებმა ასევე მიუთითეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებზე და აღნიშნეს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა გასაჩივრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული აქტის აღსრულებით არსებითი ზიანი ადგებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს და თუ არ მოხდებოდა მისი მოქმედების შეჩერება, შეუძლებელი გახდებოდა იმ ინტესესის დაცვა, რომლის დასაცავადაც წარადგინეს სარჩელი. მოსარჩელეთა განმარტებით, უკვე ჰქონდა ადგილი საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების არაერთ ფაქტს. მათივე განმარტებით, მიმდინარე წლის 8 იანვარს ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ ობიექტზე კლდის მასივში ამოკვეთილი წყლის ძველი აუზისა და მის გვერდით არსებული, ასევე კლდეში ნაკვეთი ამბოხების მონგრევის ფაქტს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არსებობდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი კორესპონდენცია. მოსარჩელებმა ყურადღება გაამახვილეს ასევე იმ გარემოებაზე, რომ ამ კორესპონდენციებით კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ, როგორც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე პასუხისმგებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, თავად აცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურს და საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით საკითხის შესწავლა სთხოვა. მოსარჩელეთა განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ამავე საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე გამოძიების დაწყება ითხოვა, თუმცა, მათთვის უცნობი იყო პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. მოსარჩელებმა იმ გარემოებაზეც მიუთითეს, რომ მიმდინარე წლის 6 აპრილს, ტელეკომპანია „მანესტრო“-ს ეთერში ნაჩვენები იქნა „სტუდია მონიტორის“ დოკუმენტური ფილმი - „საყდრისი პრემიერის ოქროს შუალედი“, საიდანაც ირკვეოდა, რომ „სტუდია მონიტორმა“ ზემოაღნიშნული ობიექტის დაზიანების ფაქტი 2014 წლის 14 მარტს ვიდეოკადრებზე დააფიქსირა. ამდენად, მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეუჩერებლობის შემთხვევაში, მოხდებოდა ზემოაღნიშნული არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების გაგრძელება და შეუძლებელი იქნებოდა მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა, შეუძლებელი იქნებოდა საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური ობიექტის, შენარჩუნება, შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც წარადგინეს სარჩელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა იშუამდგომლეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით კახა კოჭორიძისა და დალი მამულაშვილის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში, ხოლო მოსარჩელეთა შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დატოვებულ იქნა ხარვეზზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაება შპს „RMG Gold“.

2014 წლის 29 მაისს მოსარჩელებმა განცხადებით მომართეს სასამართლოს, რომლითაც აღმოფხვრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

სასამართლო გაეცნო სარჩელს, წარმოდგენილ შუამდგომლობას გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე და მიაჩნია, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, როგორც არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება. აღნიშნული ნორმა გამოიყენება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავდროულად ნორმის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი ავტომატურად არ ჩერდება და აქტის შეჩერება ხდება მხარის მოთხოვნით და მხოლოდ სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელები შუამდგომლობენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას, რომლითაც, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებულ დასკვნაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც საყდრისი-ყაჩალიანის ტერიტორიაზე უძველესი ოქროს მაღაროს, ან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლის არსებობა, იმ დროისათვის არსებული კვლევების საფუძველზე, დადასურებული არ იყო და ამასთან, 2013 წლის ობიექტზე განხორციელებული არქეოლოგიური კვლევების შედეგებად, აღნიშნულ ტერიტორიაზე კულტურული ფენების არსებობა არ ფიქსირდებოდა, შპს „RMG Gold“-ს სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით მიეცა დადებითი დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შესაჩერებელი ადმინისტრაციული აქტების ჯგუფს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას.

ამდენად, იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნეს ისეთი ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება, რომელიც მოქცეულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში და სარჩელის წარმოებაში მიღებასთან ერთად ავტომატურად არ ჩერდება, მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაბუთებული შუამდგომლობა სადავო აქტის უკანონობისა ან/და პირის კანონიერი უფლების დარღვევის შესახებ, ან უნდა წარმოიშვას დასაბუთებული ეჭვი, რომ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს და შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის შემდომში დაცვას.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ატარებს წინასწარ და დროებით ხასიათს და ხორციელდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად.

აღნიშნული საკითხის განხილვისას სასამართლო არ ახდენს მოთხოვნის მართლზომიერების შემოწმებას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება ეფუძნება მხოლოდ სასამართლოს გონივრულ ვარაუდს, რომ მისი განუხორციელებლობა ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი ვარაუდი საბოლოოდ გავლენას მოახდენს გადაწყვეტილების მიღებისა და გამოტანის პროცესზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ზემომითითებული ობიექტის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომელიც განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ თუ არქეოლოგიურ ღირებულებას. ამდენად, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების მიუღებლობის პირობებში, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება, ვინაიდან აღარ იარსებებს დავის საგანი.

ამდენად, სასამართლო იზიარებს შუამდგომლობის ავტორთა პოზიციას მასზედ, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეუჩერებლობით, შესაძლოა მოხდეს ზემოაღნიშნული ობიექტის დაზიანება, რის გამოც შეუძლებელი იქნება მისი პირვანდელი მდგომარეობისა და არქეოლოგიური ღირებულების აღდგენა, შესაბამისად, შეუძლებელი იქნება იმ ინტერესის დაცვა, რომლის დასაცავადაც მოსარჩლეებმა წარადგინეს სასამართლოში სარჩელი.

ამასთან, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ეჭვის დასაბუთებულობის დადგენა, ხოლო სადავო აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან წარმოადგენს საქმის არსებითად განხილვის საგანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები ქმნის სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების საკმარის საფუძველს, რის გამოც მოსარჩელეთა შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კახა კოჭორიძისა და დალი მამულაშვილის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდეს;
2. შეჩერდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის №01/01-1227 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი N7ა) მხარეთათვის მისი ასლის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მოსამართლე

ნათია ბუსკაძე